აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს

რეგლამენტი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 10.04.2019, სარეგისტრაციო კოდი: 010240080.51.056.016040) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ და „პ“ ქვეპუნქტები ამოღებულ იქნეს.
2. 25-ე მუხლის მე-2 პუნქტის „მ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს.
3. 137-ე მუხლი ამოღებულ იქნეს.
4. 143-ე მუხლი ამოღებულ იქნეს.
5. 144-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 144. საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრობის – მეურვეობის კანდიდატთა საქართველოს პარლამენტისათვის ასარჩევად წარდგენა

საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრობის კანდიდატთა შესარჩევი საკონკურსო კომისიის მიერ შერჩეულ მეურვეობის კანდიდატთაგან სამს უმაღლესი საბჭო ცალ-ცალკე კენჭისყრით, სრული შემადგენლობის არანაკლებ ერთი მესამედით ასარჩევად წარუდგენს საქართველოს პარლამენტს. უმაღლესი საბჭოს მიერ შერჩეული მეურვეთა კანდიდატურების წარდგენის შესახებ გადაწყვეტილებას ხელს აწერს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე.“.

მუხლი 2

ეს რეგლამენტი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე **დავით გაბაიძე**

ბათუმი,

5 სექტემბერი 2023 წ.

N80-IIს